

ინტერვენცია ეთნიკურ კონფლიქტში: რაციონალური არჩევანი

სტრატეგიების რეპერტუარებს მიღმა

(აფხაზეთისა და ყირიმის კონფლიქტების შედარებითი ანალიზი)

ნინო ჩანადირი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნინო ჩანადირი

25,06,2019

აბსტრაქტი

ეთნიკური კონფლიქტების თემაზე არსებული უახლესი კვლევები და კონფლიქტებში ინტერვენციის არაერთი შემთხვევა ცხადყოფს, რომ შიდა და გარე პოლიტიკური არენები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და მათი კომბინაცია გავლენას ახდენს კონფლიქტების მიმდინარეობაზე. მესამე მხარის გამოჩენა ეთნიკურ კონფლიქტში გადამწყვეტი მნიშვნელობის შეიძლება აღმოჩნდეს. ინტერვენციას გააჩნია უნარი განსაზღვროს კონფლიქტის განვითარების ბედი კონკრეტული მხარისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენით, რაც ამ უკანასკნელისთვის კონფლიქტში სტრატეგიული უპირატესობის მიმნიჭებელი შეიძლება აღმოჩნდეს.

ნაშრომის მიზანი იყო გამოეკვლია ეთნიკურ კონფლიქტში ეთნიკურ უმცირესობაში მყოფი ჯგუფისა და მესამე მხარის - პოტენციური ინტერვენციონისტის ინტერესების თანხვედრის შემთხვევა. როგორ შეუძლია ინტერვენციის შესაძლებლობას ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობის მიერ ძალადობრივი სტრატეგიის არჩევას და როგორ უწყობს აღნიშნული ხელს მესამე მხარის ინტერესების დაკმაყოფილებას. კვლევა მიზნად ისახავდა კითხვებისთვის ეპასუხა აფხაზეთისა და ყირიმის კონფლიქტებში რუსეთის მიერ განხორციელებული ინტერვენციების შესწავლის საშუალებით. კონფლიქტებში ეთნიკურ უმცირესობებს გააჩნდათ საჭიროება და სურვილი კონფლიქტში საკუთარ მხარეს ჩაერთოთ მესამე აქტორი, რაც მათთვის პოტენციური გამარჯვების მომტანი იქნებოდა. მეორე მხრივ, რუსეთს გააჩნდა ინტერესი ჩარეულიყო კონფლიქტებში და მიეღო სარგებელი.

კვლევის მთავარი მიგნებები ცხადყოფს, რომ უმცირესობაში მყოფმა ეთნიკურმა ჯგუფმა შესაძლოა აირჩიოს ძალადობრივი სტრატეგია, რათა საფუძველი შეუქმნას მესამე მხარეს კონფლიქტში ინტერვენციისათვის, რომლის დახმარებასაც ის ითხოვს კიდევ. თავისმხრივ, ინტერვენციის იმედს აჩენს მესამე მხარის მიერ კონფლიქტებში ჩარევის წარსული გამოცდილება და პირდაპირი თუ არაპირდაპირი დაპირებები, რომელიც მომდინარეობს პოტენციური ინტერვენციონისტისგან. მესამე

მხარე შესაბამისი საფუძველის არსებობისას ახორციელებს ინტერვენციას კონფლიქტში, რომელიც მისი ინტერესის დაკმაყოფილებასაც ემსახურება.

საძიებო სიტყვები: ეთნიკური კონფლიქტი, ეთნიკური უმცირესობა, მესამე მხარის ინტერვენცია, აფხაზეთის კონფლიქტი, ყირიმის კონფლიქტი

Abstract

The latest researches in ethnic strife and several cases of interventions in ethnic conflicts prove that internal and external political arenas are closely linked and their combination affects the course of the conflict. The presence of third party in the conflict can become a crucial factor in the process. The intervention has a power to determine the fate of the conflict development with the military assistance of a particular party. That can become determinant for the advantage of the party.

The aim of the thesis was to study the case, when the interests of ethnic minority and potential intervener coincide in ethnic conflict. How the probability of intervention enables the choice of the violent strategy by the ethnic minority and how it helps the interventionist's interests to be fulfilled. The research aimed to answer the questions under the light of interventions by Russia in Abkhazian and Crimean conflicts, where the ethnic minorities had a need and willingness to make the third party engaged on their side in the conflict which could bring potential victory for them. At the same time, Russia had its own interests to get involved in the conflicts and gain benefits.

The main findings of the study demonstrate that the minority ethnic group may choose a violent strategy to create a ground for the third party assistance which it demands. The past experience of interference in ethnic conflicts by the third party and the direct or indirect promises derived from the potential intervener creates a hope for the intervention. The third party intervenes when there is a ground for intervention and at the same time serves its own interests.

Keywords: Ethnic conflict, ethnic minority, third party intervention, conflict in Abkhazia, Crimean conflict.